

სამოქალაქო

საზოგადოება

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №9, 2024 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ოზურგეთის ინოვაციებისა

და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი. გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული

ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე პროექტის გუნდი.

არჩევნები = რეჟიმდუმს



„ის, ვინც დათმობს თავისუფლებას დროებითი უსაფრთხოების მისაღებად, არც თავისუფლების ღირსია და არც უსაფრთხოების“

ბენჯამენ ფრანკლინი

„ჭკუა ანუ აზროვნება თავისუფლების გარეშე არ არსებობს, აზროვნება უკვე ნიშნავს თავისუფლებას, მაგრამ როცა თავისუფლებას ებრძვიან, ძალიან ხშირად, აზროვნება გმირობას ნიშნავს, გმირობას და ურჩობას.“

ზაირა არსენიშვილი, მწერალი

26 ოქტომბრის არჩევნები

არ უემოსაზო გააუზრაღე!

ISFED

„საქართველო მონიწივე იყო გარკვეული პერიოდის წინ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, საქართველო ჩამორჩება. ...ეს არის მიზეზი, რის გამოც მომავალი არჩევნები რეჟიმდუმის ტოლფასია, რა დროსაც გადაწყდება, დარჩება თუ არა საქართველო „რუსკი მირში“ თუ აირჩევს ცხოვრების ევროპულ გზას. ეს უკიდურეს მნიშვნელობას ატარებს და ჩვენ ევროპელებმა, მათ, ვინც ვართ ევროკავშირში, თქვენს ქვეყანას დახმარება უნდა გავუწიოთ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე ამას ქართველები აკეთებენ. ჩვენ ვერ ვიქნებით უფრო მეტად ქართველები, ვიდრე თავად ქართველები არიან“.

რაისა იუკნევიჩიანი, ევროპარლამენტარი

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

ISFED

რა უნდა იცოდეთ, სანამ მისცემთ ხმას

ვირჩევთ 150 დეპუტატს, სრულად პროპორციული სისტემით, 4 წლის ვადით.

საქართველოს მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან მონაწილეობენ არჩევნებში და ფარული კენჭისყრით ირჩევენ პარლამენტის შემადგენლობას.

ამომრჩევლებმა ბიულეტენზე სასურველი პოლიტიკური პარტიის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე უნდა გააფერადონ.

საარჩევნო ბარიერი 5%-ია. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა

ნამდვილი ხმების 5%-ს მაინც მიიღებენ. პარტიულ სიაში კანდიდატების რიგითობას პოლიტიკური პარტიები განსაზღვრავენ. პარტიის მიღებული მანდატების რაოდენობა ითვლება შემდეგნაირად: მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა ბარიერგადალახული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე.

თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობაა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე ბარიერგადალახული პარტიები.


საარჩევნო კაბინაში უოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია

არაჰვის აქვს უფლება, გაიძულეთ, უოტო გადაუღოთ ბიულეტენს

თქვენი ხმა უარულია, კაბინაში ვერაჰინ ხელავს ვის აქლავთ ხმას

არაჰვის აქვს უფლება, მოგთხოვოთ, რომ გააჰქლავნოთ თქვენი არჩევანი


ამომრჩევლის ინსტრუქცია




1 გამოცხადდი საარჩევნო უბანზე დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე და იქონიე პირადობის მოწმობა



5 მიიღე საარჩევნო ბიულეტენი და ჩარჩო-კონვერტი, გააწვრთვე საცდელი წრე რეგისტრატორთან



2 გაიარე მარკირების შემოწმება



6 არ შემოხაზო გააწვრთვე



3 გაიარე მარკირება და დაელოდე მოწმობის შეწმენდის შემოწმებას



7 ბიულეტენი არ გადაკეცო, მოათავსე ბიულეტენი ჩარჩო-კონვერტში



4 ხელი მოაწვიე მერიფიკაციის აპარატიდან ამოგეჭდილ ქვითარს



8 მოათავსე ჩარჩო-კონვერტში ჩადებული ბიულეტენი ხმის დათვლის აპარატში და დაელოდე დასტურს – ბიულეტენი მიღებულია

ელექტრონული კენჭისყრის დღე ამომრჩევლისათვის

- დაელოდეთ თქვენს რიგს. წარუდგინეთ ნაკადის მომწესრიგებელს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა.
- ნებისმიერ თავისუფალ რეგისტრატორს:
 - წარუდგინეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – პირადობის მოწმობა – აიდი ბარათს – რეგისტრატორი გაატარებს ნამკითხველში, პასპორტის მონაცემებს ხელით შეამოწმებს. თქვენთან დააზუსტებს თქვენს მონაცემებს.
 - იქვე გაივლით მარკირებას. ვერიფიკაციის აპარატიდან ამოიბეჭდება ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითარი, რომელსაც ხელს აწერთ. ქვითარი რჩება რეგისტრატორთან სპეციალურ გაუმჭვირვალე ყუთში. ვინაობის ელექტრონულად დადასტურების შემდეგ, გადმოგეცემთ ჩვეულზე ოდნავ დიდი ზომის ქალაქის ბიულეტენი.
 - ხმის მიცემამდე, რეგისტრატორი აგისხნით ბიულეტენის შევსებისა და ჩარჩო კონვერტის გამოყენების წესს. გაგაფრადებინებთ ამავე ბიულეტენზე გამოყოფილ საცდელ წრეს.
- შედიხართ ნახევრად ღია ხმის მიცემის ფარული კენჭისყრის კაბინაში. კაბინის დიზაინი მოდიფიცირებულია – დაფარულია ბიულეტენი, თავად ამომრჩეველი ჩანს, რაც უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს ბიულეტენის შეცვლა, ან ფარულად ჯიბეში ჩადება, რაც თითქმის შეუძლებელია ბიულეტენის სიდიდისა და ფორმატის გამო.
- სპეციალური მარკერით გააფრადეთ წრე – რომლის გასწვრივაც თქვენთვის სასურველი პოლიტიკური სუბიექტის დასახელება წერია. ბათილდება ბიულეტენი თუ ერთზე მეტი რგოლია გაფრადებული.
 - ბიულეტენი არ მოკეცოთ. წრე კარგად გააფრადეთ, რათა ხმის მთვლელობა მანქანამ მისი ნაკითხვა შეძლოს.
- ამის შემდეგ, ბიულეტენი ჩადეთ ჩარჩო-კონვერტში, არჩევანის ფარულობისთვის. მიდით ხმის მთვლელ აპარატთან და კონვერტი მოათავსეთ ეკრანის ქვემოთ დატანილ ჭრილში. ამისთვის კონვერტიდან უნდა ჩანდეს ბიულეტენის ზედა, ცარიელი ნაწილი. თუ ვერ ათავსებთ ბიულეტენს აპარატში, დაგეხმარებათ კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი.
 - ბიულეტენს თვითონ აპარატი „გადაყლაპავს“, კონვერტიდან ოდნავ ამონეული ნაწილით და საბოლოოდ, მის ქვეშ განთავსებულ ურნაში აგდებს.
 - თუ ყველაფერი კარგად წავიდა, რამდენიმე წამში აპარატის ეკრანზე ჩნდება შესაბამისი წარწერა – რომ ბიულეტენი მიღებულია. უნდა დაელოდოთ ამ წარწერას, რადგან შესაძლოა – აპარატმა ბიულეტენი უკან დააბრუნოს. თუკი ამ დროს ნასული ხართ საარჩევნო უბნიდან, თქვენი ხმა დაიკარგება, რადგან ვერც ხელმეორედ ცდით და ვეღარც ახალ ბიულეტენს მოგეცემენ.
 - ურნაში ვარდება ყველა ბიულეტენი, „გაფუჭებულის“ გარდა. თუ ბიულეტენს რაიმე ტექნიკური ხარვეზი აქვს, აპარატი უკან აბრუნებს. ეს ბიულეტენი ითვლება გაფუჭებულად და ილუქება ისე, რომ დაცული იყოს არჩევანის ფარულობა, ამომრჩეველს კი ახალ ბიულეტენს აძლევენ. ბიულეტენები გაფუჭებულად ჩაითვლება ისეთ შემთხვევაშიც, თუკი ამომრჩევლის ორი მცდელობის შემდეგ, მას მაინც უკან დააბრუნებს აპარატი.
- ჩარჩო კონვერტს დატოვებთ სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ მაგიდაზე.



წყარო
<https://bit.ly/3MSM7kV>

2024 - საპარლამენტო არჩევნების წელი - ამომრჩევლის სამახსოვრო

- არჩევნები ფარულია და ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა!
- საარჩევნო ელექტრონული სისტემის საშუალებით არჩევნების შედეგები ქვეყნის მასშტაბით, გვეცოდინება, ხმის მიცემის შეწყვეტიდან, ერთ-ორ საათში. შესაბამისად – ხმებს ველარ „გადათვლიან“.
- ამომრჩევლის რეგისტრაციისა და ხმების დათვლის ელექტრონული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას აკეთებს საერთაშორისო, რეიტინგული ორგანიზაცია, და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოხდეს უკანონო მანიპულირება.

- არჩევნების დღეზე მეტად არჩევნები ყალბდება საავტომატო პერიოდში, როცა უკანონო წესებით ზემოქმედებენ ამომრჩევლის ნებაზე – მოსყიდვა, დაშინება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება... ვიმოქმედოთ სინდისის კარნახით. ჩვენზეა გადაწყვეტილების ბედი.
- ხელისუფლების შეცვლის დიდი სურვილი თუ გაჩნდა ამომრჩეველში, შედეგებში დიდი სხვაობის შემთხვევაში, მმართველ პარტიას ვერ უშველის ვერც ადმინისტრაციული რესურსი, ვერც ამომრჩეველთა დაშინება.
- ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე!!!



ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს (National Endowment for Democracy) NED-ის პოზიციას.

